წელიწადი მე-2[:]  ტელეფონი № 76.  ხუთშაბათი, 8 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. [illegible] განცხადების დაბეჭდვა თითო[ჯერ] ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 502 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 502

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო დავითის ასული ანტონოვისა, რითა დავითის ასული, ივანე, კონსტანტინე, იოსები დავითის ძენი სიდავა და პეტრე პეტრეს ძე ფილიპეშვილი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფას და საყვარელ დედისა და მეორე დაუვიწყარ დისა

**მარიამ პეტრეს ასული სიდავასი,**

გამოსვენება დანიშნულია 9 ამა დეკემბერს, პარასკევს დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდან, კათოლიკების ქუჩაზედ რომის კათოლიკეთა ეკლესიაში. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

---

კვირას, 11 დეკემბერს დილის 10 ნახ. საათზე არქიერის გორაზე, გოჭოურის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი

**მარიამ სიმონის ასულის ვასილიევის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრთ და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი.

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 5 დეკემბრიდან ახალი პროგრამა
ომის მიმოხილვა მიმდინარე ამბები

**დიდი სირცხვილი**

ძლიერი დრამა 5 ნაწ. მხატვრული სერია ტიბერ ფილმის ბიანკა ლორენცონისა და ემილიო ჰონეს მონაწ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ექიმი ი. ჩარექიშვ** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

---

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

დოქტორი მედიცინისა
**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**
ლებულობს გავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.
გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

---

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული
**ბებია ს. ს. ნემსაძისა** ურცის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გაბაშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

---

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი
**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, სავარჯიშო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.
ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 17
304—1—თვით.

---

**ექიმი გაბრიელ იოსების ძე ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრეზისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**იყიდება სახლი და მამული** 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მისვიდის ქ. № 113 ექიმ ბოკიელოვს. 12—1

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 5 დეკემბრიდან ახალი პროგრამა
ომის მიმოხილვა მიმდინარე ამბები

**ჟანნა მერი** მხატვრული დრამა 4 ნაწ. კაზიმირ ტეტმაიერის ცნობილ რომანის შინაარსის მიხედვით

ალკრძალული ლამე სახუმარო

---

## ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 28.

ბენეფისი ნინო ჩხეიძისა.

კვირა, 11 დეკემბერი 1916 წ.

ალ. დიუმა.

**მარგარიტა გოტიე**

დრ. 5 მოქმ. თარგმანი ვ. გუნიასი და ალ. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ.
ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი. ადგილების ფასი საბენეფისოა.
მორიგი წევრი გამგეობისა: ე. მეღისაშვილი და გრ. ლაღიძე
ადმინისტრატორი დრამატ. საზოგად. გამგეობისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.

---

მმ. გოკიელოვების სავ. სახლმა
ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის საშუალებით შეიძინა საუკეთესო ხარისხის (ინგლისის) დიდძალი პარტია

**შაბიაბანი და გოგირდი.**

შაბიაბანის შეძენა შეუძლიათ: სასოფლო ბანკებს, კოოპერატივებს და კერძო მევენახეებს ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ მიერ მიცემული მოწმობით, რომელიც საქონლის შეძენისას წარმოდგენილი უნდა იქნეს სავაჭრო სახლში.

---

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთ. განყოფილების

**გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ თერთმეტ (11) დეკემბერს დილის თერთმეტ საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების წევრთა საგანგებო

**საერთო კრება**

განყოფილების სტამბის გაყიდვის საკითხის განსახილველათ. გადამწყვეტი ხმა ექნება იმათ, ვინც 1915 წლის წევრთა სიაში არის მოხსენებული; ან ვინც 1916 წ. საწევრო ფულის კვიტანციას წარმოადგენს.

---

## მსოფლიო ომი.

(პეტროგრადის დეპ. სააგ.).

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

3 დეკემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. დაბა კისელინის სამხრეთით, ზუბილნოს მიდამოებში მოპირდაპირემ ორჯელ აგვიტეხა ზარბაზნების სროლა და თავისი სანგრებიდან გამოსვლა სცადა, მაგრამ თოფებისა, ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველების სროლით უკანვე მივაბრუნეთ. გრაბკოვცეს მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა შეამჩნიეს რომ მოპირდაპირის რაზმი მავთულების ხლართს გამოსცილებოდა, ხელის ყუმბარები დაუშინეს და სანგრებშივე მიაბრუნეს. ვატკუეგუკალევის ტყის მიდამოებში, ნავაროვცე-მლინოვცეს არემარეში მოპირდაპირემ ძლიერი სროლის შემდეგ სოფ. გრაბოვიციდან შემოგვიტია ზოლოჩევ-ტარნოპოლის რკინის გზის ორივე მხარეს, მაგრამ ჩვენმა ქვეითა ჯარმა თოფის სროლა აუტეხა, ზარბაზნები ავახმაურეთ და მოპირდაპირის ჯარი ჩვენი თხრილების წინ 300—400 ნაბიჯზე ჩაიმალა; მლინოვცეს მიდამოებში კი მოპირდაპირემ მოახერხა ჩვენი ერთი როტის სანგრებში შემოჭრა, თუმცა მაშველი ჯარის დახმარებით უკანვე გავაბრუნეთ. სოფ. კონიუხის აღმოსავლეთ მიდამოებში მოპირდაპირემ ისარგებლა ღამის სიბნელითა და ნისლით, იერიში მოიტანა ჩვენს სადარაჯოზე და თხრილების პირველი წყება დაგვატოვებინა. მეორე ადგილას, მტრის ჯარი ჩვენი სანგრების წინ მავთულის ხლართის წინ ჩასაფრდა.

ჩვენმა მფრინავებმა გუშინ სამს ადგილას გაუმართეს მოპირდაპირეს ბძოლა, ზალანცესა, ნუშჩესა და მლინოვცესთან. სამივე ადგილიდან მტრის მფრინავები განდევნეს.

**კავკასიის ასპარეზე.**

ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

რუმინელთა და რუსთა ჯარს ბუზეოს მიდამოებში მტერი მედგრად აწვება, რის გამოც მათ უკან დაიხიეს. მტერს ზურგის ჯარი აფერხებს. ამავე დროს მდ. იალომიცაზე მომქმედი ჯარიც უკან იხევს.

2 დეკემბერი

**პარიზი.** მოპირდაპირე ზარბაზნებს უშენს სერბიელთა ბრძოლის ველს და ქალაქ მონასტირს.

3 დეკემბერი.

**პარიზი.** გერმანელების წყალქვეშამ დაღუპა გემები „მაჯედლან“-ი და „სინაი“. ორივე გემზე მყოფნი თვითონვე გადაარჩინეს.

**სოლუნი.** მეტად ცხარე ბრძოლაა სოფ. ვოდიმირის ჩრდილოეთით.

**პარიზი.** ალჟირიდან მომავალი დიდი გემი წყალქვეშამ დაღუპა. ზედმყოფთაგან მხოლოდ 4 გადაარჩინეს.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჟურნალი „ამერიკის საზღვაო აღმშენებლობა“ იტყობინება, რომ „ელექტრიკ ბოატ კომპანი“-ის ქარხნები ვპორრივერში მოკლე ხანში სავაჭრო წყალქვეშების შენებას დაიწყებენ გერმანიისათვის და მის მოკავშირეებისათვის. გერმანიის მთავრობისაგან ხსენებულ ქარხნებს უკვე მიუღიათ შესაფერი ნახაზაკები და გეგმები. წყალქვეშა გემები ორი სიდიდისა აშენდება; ზოგი 2000 ტონის წყალ წყვისა უნდა იყოს, ზოგი კი 5000 ტონისა. ერთ ამერიკელ სპეციალისტს უთქვამს, ომის დროს დიდს სარგებლობას მაინცა და მაინც ვერ მოუტანენ გერმანელებს ეს წყალქვეშები, მაგრამ ომის შემდეგ მათი ჩვეულებრივ სავაჭრო გემებათ გადაქცევა დიდ წვალებას არ მოითხოვსო. მეორე წყაროს რწმუნებით, დაასრულებენ თუ არა ამ სავაჭრო წყალქვეშათა აშენებას, მაშინვე მათ ფარულად სამხედრო წყალქვეშა ნავებად გადააკეთებენ, რის შემდეგაც უკანასკნელნი ატლანტიის ოკეანეში თავისუფლად ითარეშებენ.

— ამერიკულ „სამხედრო საზღვაო გაზეთ“-ს „დოჩლანდ“-ის კაპიტან კენიგის მოჰყავს ნალაპარაკევი წყალქვეშაში ყოფნის მძიმე პირობების შესახებ. წყალქვეშათა მეზღვაურების ცხოვრება პირდაპირ აუტანელი ყოფილა: მათ უხდებათ ცხოვრება ბნელ და ვიწრო ყოველ მხრიდან დაკეტილ ნავში, სადაც ერთობ მძიმე ჰაერი ტრიალებს და იმდენათ უხერხულია, რომ ბოლთის დარტყმაც კი არ შეიძლება. მეზღვაურებს უკიდურესობამ

დის ექიმებათ ნერვები, რასაც ზოგი მათგანი ვერ უძლებს. მაგალითად კაპიტანი კენიგი 8 საათის განმავლობაში პეროსკოპთან ზის ხოლმე ყოველ დღე ზღვის ზედა პირს ათვალიერებს; თუ რას ნიშნავს პერისკოპში თვალის დევნება ზღვის სივრცეზე ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც ყოფილა წყალქვეშაში და თვალები პერისკოპისათვის დაუღარვინებიათ, უთქვამს კენიგს. ამას გარდა ზეთიანი ოშხივარი, რომლითაც წყალქვეშა გატენილია, ძილსა ჰგვრის მეზღვაურთ და არა ჩვეულებრივი ძალა უნდა დაატანონ თავის თავს, რომ იფხიზლონ.

— იმის დასამტკიცებლად, რომ შვეციას დიდ ძალი საქონელი შეაქვს გერმანიაში გაზ. „ტაიმსი“ იხილავს შვეციაში შეზიდულ და გაზიდულ კაკაოს რაოდენობას ომის წინ და ომის დროს. ომის დაწყებამდე სამი წლის განმავლობაში წლიურად შვეციაში შეჰქონდათ საშუალოდ 1692 ტონნი კაკაო; 1915 წლის განმავლობაში კი შვეციაში შეუზიდავთ 15880 ტონნი; შვეციას აქედან მხოლოდ 148 ტონნი გაუზიდავს რუსეთში დანარჩენი კი, როგორც სჩანს, გადაუცია გერმანიისთვის, სადაც ამ ჟამად ერთობ ცოტა კაკაო, მხოლოდ მოთხოვნილება კი ერთი ორად გაიზარდა, რადგანაც ამ პურის სიმცირის დროს გერმანელებს დახმარებას უწევს ნოყიერი კაკაო.

— როგორც ჰააგიდან იუწყებიან ბამბით დატვირთული ჰოლანდიის გემი „კალედონია“ გერმანელებს დაუტყვევებიათ და თავიანთ ნავთსადგურში წაუყვანიათ.

— 26 ნოემბერს „ლლოიდ“ს ცნობა მიუღია, რომ ინგლისის გემი „აბრისტან“ ი გერმანელებს დაუღუპავთ. აგრეთვე დაღუპულად ჩასთვალეს გემები: „სანვპილი“ და „კონში.“

— გერნსიდან 50 მილის მანძილზე გერმანელებს დაუღუპავთ ნორვეგიის გემი „რაკიურა“ მეზღვაურნი გადაურჩენიათ.

— ამ გემის კაპიტანის სიტყვით იმავე ალაგას გერმანელებს დაუღუპავთ ნორვეგიის მეორე გემი „საგა“.

## ჩვენი დეპუტატები.

საქართველოს თავისი ეროვნული სულისკვეთების გამომთქმელი დეპუტატი მეტადრე ამ დიდ პოლიტიკურ ქმნადობათა დროს სჭირდება.

ისტორიული მომენტი ყოველთვის ერთგვარი არ არის. სულ სხვაა ჩვეულებრივის, პატარა საქმეებისა და სულ სხვა ძირითადი საკითხების, დიდი ლოზუნგების ხანა. და, თუ უდეპუტატობა წვრილმანის, საქმითი პოლიტიკის დროსაც კი ერთობ გვაკლდა, მეტადრე ახლა გვაკლია.

მკითხველი, ვიცი, იკითხავს: როგორ? განა ჩვენ სათათბიროში ორი დეპუტატი და სახელმწიფო საბჭოში ერთი წარმომადგენელი არა გვყავდაო? გვყავდენ და არც დასაწუნაური ყოფილან, მაგრამ, სიმწუხარით, ისინი ქართველი ერის წარმომადგენლებად ვერ ჩაითვლებიან. სოციალდემოკრატების ჯგუფს, რომელსაც ჩვენი დეპუტატები ეკუთნიან, საკუთარის, საერთოსი, სარუსეთოსი, უმთავრესად, საპროლეტაროსი, მუშათა საკითხის დაცვა აქვს დავალებული და ჩვენის ეროვნული საქმეებისათვის არა სცალია. ნურავინ იფიქრებს კი, რომ მე მათ ვემდუროდე პირიქით, ისინი თავის რწმენას ემსახურებიან, რადგან მათი ფიქრით პროლეტართა, მუშათა საკითხი ეროვნულ საკითხზე უფრო მნიშვნელოვანია და უკანასკნელს გარეშეიცავს. ისინი ამბობენ: ვიდრე მუშათა საკითხი სასურველად არ დაბოლოვდება, არც ეროვნული საქმე გადაწყდება; მუშათა საქმის გადაწყვეტა კი იმავე დროს ეროვნული საკითხის გადაწყვეტაც იქნებაო.

გვყავდა კიდევ ერთი დეპუტატი—განსვენებული ვარლამ გელოვანი, კეთილი ადამიანი და რაინდი, რომელმაც ბრძოლის ველზე დაჭრილ-დასნეულებულ მეომართათვის თავი დასდვა და მით თავისი ერი ასახელა. მაგრამ ქართველი ერის გულისთქმას ვერც ის გამოხატავდა, რადგან „შრომის ჯგუფში“ იჯდა, იმ „ჯგუფში“, რომელსაც ეროვნული საკითხი ერთხელაც არ წამოუყენებია. და ვარლამი თავის ამხანაგთა მიერ შევიწროებულ-შებორკილი იყო.

ამგვარად ვერც სოციალდემოკრატი და ვერც ფედერალისტი ქართველი ერის ინტერესებს ვერ გამოსთქვამენ და, მაშასადამე, ქართველი ერის წარმომადგენლებად არცა ყოფილან და ვერც იქნებიან.

რაც შეეხება თავადს ა. ერისთავს, ის, ჯერ ერთი, ქართველი ერის ისტორიული უფლების წინააღმდეგია და, მეორე, საბჭოში საქართველო, ვგონებ, არც კი უხსენებია და ჩვეულებრივი დუმილი თითქმის არაოდეს არ დაურღვევია. მხოლოდ თავადი აფხაზი მიგვაჩნია საიმედოდ იმ პირობით კი, თუ მარტო წვრილმანს, პატარა საქმეების პოლიტიკას არ დასჯერდება. როგორცა ვთქვით, ახლა დიდი ლოზუნგების დროა და ქართველი ერი თავის წარმომადგენელთაგანაც მეტს მოითხოვს. უნდა ახსოვდესთ ეს ჩვენს წარმომადგენლებს.

გასიდ წეთელი.

## გერმანიის ნოტა ზავის შესახებ.

პ. დ. ს

29 ნოემბრის თარიღით სტოკჰოლმში ბერლინიდან აცნობეს შემდეგი:

წმინდა ტახტის წინაშე, ვატიკანში, გერმანიის და მის მოკავშირეთა სახელით პრუსიის ელჩმა სტატ-სეკრეტარ კარდინალ გასპარის წარუდგინა სამშვიდობო ნოტა, შემდეგი განცხადებით:

თუ რამ აიძულა გერმანია და მისი მოკავშირენი ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად, იცის მთელმა ქვეყნიერებამ. ორ წელიწად ნახევრის განმავლობაში ომი ანადგურებს მთელი ევროპის' კულტურული ღირებულების საგანძურის დიდ რაოდენობას და სისხლით აპოხიერებს დედამიწის განუსაზღვრელ სივრცეს.

მან შთანთქა სიცოცხლე რამდენიმე მილიონ მამაც მეომრებისა. მათგანი მილიონობით კი, ბრუნდებიან სამშობლოში დასახიჩრებულნი.

გლოვა და მწუხარება სუფევს თითქმის ყოველ ოჯახში. ხალხთა ბრძოლის გამანადგურებელ მძიმე შედეგს განიცდიან, არა მხოლოდ მეომარი მხარენი, არამედ ნეიტრალური ქვეყნებიც. ვაჭრობამრეწველობა, რაიცა დიდის შრომითა და ენერგიით განვითარდა მშვიდობიანობის დროს, ახლა დაემხო, საკუთარი ეროვნული შემოქმედების ძალები მოწყვეტილნი არიან თავიანთ ბუნებრივ დანიშნულებას მშვიდობიან შრომას. ევროპა, რომელიც ომამდე იკვლევდა სარწმუნოებას, ანვითარებდა კულტურას, სწყვეტდა სოციალურ საკითხებს, და ამასთან იყო ლაბორატორია მეცნიერებისა და ხელოვნებისა' ახლა დაემსგავსა უზარმაზარ სამხედრო ბანაკს, რომელმაც უნდა გაანადგუროს რამდენიმე ათეულ წლების ნამოქმედარი, გერმანია აწარმოებს თავდასაცავ ომს მოწინააღმდეგეებთან. იგი იბრძვის, რათა უზრუნველჰყოს. თავისი საზღვრები, დაიცვას თავისი ხალხის თავისუფლება და მოიპოვოს უფლება ყველა სახელმწიფოებთან თავისი კულტურული მუშაობისა და მშვიდობიანი კონკურენციისა.

გერმანიის მოწინააღმდეგეებმა დიდი გულახდილობით გამოაშკარავეს თავიანთი აგრესიული გეგმები, მაგრამ მოკავშირეთა ჯარები შეურყეველ კედლივით აღიმართენ, იცავენ თავიანთ სამშობლოთა საზღვრებს და დარწმუნებულნი არიან, რომ მოწინააღმდეგენი ვერასოდეს ვერ შესძლებენ ამ რკინის კედლის გარღვევას ცენტრალ-კოალიციის ოთხი მოკავშირე სახელმწიფონი, იძულებულნი იყვნენ ხელა მოეკიდათ იარაღისათვის და დაეცვათ თავიანთი არსებობა, თავისუფლება და ეროვნული განვითარება. მათი ჯარების გამარჯვებას არ შეუცვლია ამ მხრივ არასფერი.

სხვა ერთა უფლების პატივისცემა არ ეწინააღმდეგება მათ საკუთარ კანონებს უფლებებსა და ინტერესებს. მათ არა სურთ გასრისონ ან გაანადგურონ თავიანთი მოწინაღმდეგენი, მარა დარწმუნებულნი არიან რა თავის სამხედრო და ეკონომიურ სიძლიერეში, თუ საჭირო იქნება, მზად არიან განაგრძონ ომი ბოლომდე, ომი რომელიც ძალით მოიხვიეს მათ თავზე.

მაგრამ ამასთან სურვილი აქვთ რა მოსპონ სისხლის ღვრა და ბოლო მოუღონ ომის საშინელებას, ცენტრალ სახელმწიფოთა ოთხი მოკავშირე სახელმწიფონი წინადადებას იძლევიან, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეთ ზავზე მოლაპარაკებას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ პასუხს, რომელსაც მათ მისცემენ, შიზნათ ექნება მათი ერების არსებობისა და განვითარების უზრუნველყოფა. მხოლოდ ასეთი პასუხი გამოდგება ხანგრძლივი მშვიდობიანობის დასამყარებლად.

თუ ამ სამშვიდობო და საზავო წინადადების მიუხედავათ, ომი გაგრძელდა, ამ შემთხვევაში ცენტრალ სახელმწიფოთა კოალიციას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი რომ იგი დაამთავრონ ბრწინვალეთ და ძლევამოსილი გამარჯვებით და ამასთან თავიდან იშორებენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას კაცობრიობის ისტორიის წინაშე.

## ქართული პრესა.

ეროვნული საკითხი ჩვენში შეიქნა იმ თავარ ღერძათ, რომლის გარშემოც ტრიალებს, უმთავრესად პარტიული ბრძოლა. და ეს ასეც უნდა იყოს. ჯერ ჩვენი ერის არსებობა და მერმე მისი ცხოვრების მოწესრიგება.

ეროვნული საკითხის გადასაწყვეტათ ჩვენში სხვადასხვა პროგრამები არსებობს, პარტიების მიხედვით. ჩვენ ამჟამად მათ არ ვეხებით. ვიტყვით მხოლოდ რომ ჩვენი ერის შეგნებულ ელემენტთა უმრავლესობას სურს, მათმა სამშობლომ, საქართველომ, მოიპოვოს ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებშიაც ქართველ ერს შეეძლოს თავის მიწა-წყალზე იცხოვროს, „იშრომოს და განვითარდეს ეკონომიურათ და გონებრივათ, ისე, რომ გარეშე უხეში ძალა არ აფერხებდეს მას. ეს კი შეიძლება, თუ განხორციელდება ჩვენი დემოკრატიის ცნობილი მწერლის და მოღვაწის აზრს ლოზუნგი. „ერთი ერი, ერთი სახელმწიფო‘‘. ეს ლოზუნგი წამოაყენა მანამ მსოფლიო ომის დროს, ჩვენველოდით, რომ ამ ლოზუნგს მოჰყვებოდა მისდა მიხედვით მისი პარტიული პროგრამის ცვლილებაც ეროვნული საკითხის შესახებ.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მესამე დასელები ვერ გაშორდენ კულტურულ ავტონომიას, თუ არ ვიგულისხმებთ მათ შორის თითო ოროლა პირს. ისინი ისევ ძველ გზას ადგიან. თუ რას წარმოადგენს კულტურული ავტონომია ჩვენს პირობებში მყოფ ერისათვის, და რამდენათაა იგი მისაღები, ამას ნათლად არკვევს ბ-ნი გერონტი ქიქოძე გაზ ,,საქართველო‘‘ში. წერილი იმდენათ საინტერესოა, რომ გადმოგვცეს იგი მცირედი შემოკლებით:

,,არიან იდეები, რომელნიც მიცვალებულნი იბადებიან უდღეო ბავშვებივით. არიან იდეები, რომელნიც უდროოდ განწირულ არსებებს ჰგვანან, ცხოვრებაში ლანდებივით მიმოდიან და მოულოდნელად ჰქრებიან, როცა გონებრივი სინათლის ძალა ოდნავ მატულობს. მათი გაქრობა ჩვეულებრივ არავისში იწვევს გულისტკივილსა და მწუხარებას.

ასეთია სხვათა შორის ეგრეთ წოდებული კულტურული ავტონომიის იდეა თუ არ ვსცდებით, ეს იდეა პირველად ავსტრიელი და რუსი ებრაელების თავში დაიბადა. ალბად ამიტომ ატყვია ასე აშკარად მშრალი სქოლასტიკისა, ტალმუდისა და კაზასტური აზროვნების ბეჭედი. რუს და ევროპიელ ებრაელებს სამშობლო არ აქვთ მას შემდეგ, რაც რომაელმა იმპერატორმა ტიტემ იერუსალიმი დაანგრია და პალესტინის მცხოვრებნი დედამიწის ზურგზე გაჰფანტა. მაგრამ ამ გაბნეულ და უმიწაწყლო ხალხს საერთო რელიგია და ტომობრივი თვისებები აკავშირებს. ამას გარდა ერთი ნაწილი შერეულ გერმანულ ენას, ეგრედ წოდებულ ჟარგონს ლაპარაკობს. ბუნებრივია და ადვილად გასაგები, რომ ხალხი, რომელსაც ეროვნული კულტურის ასაყვავებლად და პოლიტიკური თვითმართველობის მოსაპოებლად ძირითადი საფუძველი, ტერიტორია არ გააჩნია, ძალაუნებურად შერჩენილ სულიერ ძალებს ეყრდნობა ე. ი. ძველსა და დამთავრებულს სარწმუნოებრივს სისტემას და უსუსურსა და ნაკლებ კულტუროსან კილოკავს აქედან გამომდინარეობს უცნარი იდეა კულტურული ავტონომიისა. რუსის ებრაელობის შეგნებული ნაწილი სარწმუნოების თავისუფლებასა და ეროვნული სკოლის განმტკიცებას ითხოვს მიტომ, რომ პოლიტიკური ავტონომიისა ან დამოუკიდებლობისათვის სამშობლო მიწაწყალი არ გააჩნია.

საქართველოში კულტურული ავტონომიის იდეა შემოიტანეს ადამიანებმა, რომელთაც სხვაფრივ უიდეალობასა და უაზრობას ვერ დავწამებთ, მაგრამ დიდი უმწეობა კი გამოიჩინეს ეროვნული საკითხის გადაჭრაში. რა აქვს ჩვენ ცხოვრებასთან საერთო ამ უცხო იდეას? მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ შერჩენილი გვაქვს ეროვნული ტერიტორია, თუმცა კარგა ხანია ზოგიერთი დაპატიჟებული და დაუპატიჟებელი სტუმარი გვედავება. ჩვენი შეურყეველი უფლება ამ ტერიტორიაზე ჩვენმა წინაპრებმა განამტკიცეს საუკუნოებრივი შრომითა და სისხლის ღვრით. არა თუ შეკვეცილი ავტონომია, სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც კი გვქონია წარსულში. მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია. არ შეიძლება ითქვას, რომ სრული უნიჭობა გამოგვეჩინოს პოლიტიკურ მართვა-გამგეობაში. პირიქით ერთს დროს დიდი და ძლიერი სახელმწიფო გვქონდა და არა თუ თანამემამულეებს, დაპყრობილ ტომებსაც კი ბრძნულად განვაგებდით. დღეს რად უნდა გამოვიჩინოთ თავის ოავისადმი უნდობლობა და ისეთი რომ რად უნდა მოვითხოვოთ რაც ამ ქვეყნად არავის აკმაყოფილებს, გარდა უმიწაწყლო, მუდმივ მოტანტალე ხალხისა?

მართლაც და რა არის ეს კულტურული ავტონომია? მაღალფარდოვან სახელწოდებაში ხშირად უბადრუკი შინაარსი იფარება. ლოღიკური ანალიზია საჭირო, რომ სიტყვებმა და ილუზიებმა არ მოგვატყუოს. ყოველი ნამდვილი ეროვნული კულტურა ავტონომიურია თავისთავად. კიდევ მეტი: ყოველი ფესვმაგარი და ახოვანი ეროვნული კულტურა არსებითად დამოუკიდებელიც არის. თუ ხალხს კულტურული ავტონომიისთვის არ მიუღწევია, თუ მას თავისი თავი არ შეუგნია და ეს შეგნება თავისებურად არ გამოუხატავს, ლირსიც არ არის სახელმწიფოებრივი თვითმართველობისა რა აზრი აქვს ისეთი ხალხის პოლიტიკურ თვითმართველობასა და დამოუკიდებლობას, რომელსაც არც კულტუროსანი ენა აქვს, არც თავისებური ზნე-ჩვეულებები, არც განვითარებული ლიტერატურა, ხელოვნება და სოფლ-მხედველობა. ასეთ ხალხს პირველი გამვლელი დაეპატრონება, ისე რომ მისივე შეგნებაც კი არ აღშფოთდება.

ეს სულიერი თავისებურობა თუ ავტონომია ქართველებს უკვე დიდი ხანია გვაქვს და დიდი ახირება იქნებოდა რომ მის მოსაპოებლად პარტიული კონფერენციები გვემართა, რეზოლიუციები გვეთხზა და ბრძოლა გაგვეჩაღებინა.

უეჭველია რომ ჩვენი თანამემამულენი, კულტურულ ავტონომიას რომ ითხოვენ, სულ სხვა რამეს გულისხმობენ და არა იმას, რაც თავისთავად იგულისხმება: ისინი არსებითად ებრაელ ბუნდისტებივით მხოლოდ ეროვნული სკოლისა და რელიგიური კულტის უზრუნველყოფას ითხოვენ. ეს ჰლექიანი ადამიანის მოთხოვნილებაა, გარეთ რომ ვერ გამოსულა და სარკმელს აღებს ცოტაოდენი თავისუფალი ჰაერის შესაშვებად.

ეროვნულ სკოლასა და ავტოკეფალიურ ეკლესიას დიდი აზრი და დიდი ძალა არ აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე. ოსმალეთ სომხებს ერთიც ჰქონდათ და მეორეც, მაგრამ ამ გარემოებამ ეს ხალხი სრულიადაც ვერ დაიფარა დარბევისა და განადგურებისაგან. კათალიკოსსა და სახალხო მასწავლებელს არ ძალუძს ეროვნული ტერიტორიისა და სახელმწიფოს ანაზღაურება. თავისთავად ცხადია რომ ეროვნული სწავლა-განათლების მნიშვნელობა განახევრდება თუ ადმინისტრაციასა, სასამართლოსა, ვაჭრობა მრეწველობასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში უცხო ენა იქნება გაბატონებული.

ეროვნულ უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა როცა ის პოლიტიკური ხასიათის უფლებაა და განსაზღვრულ ტერიტორიაზეა დაყრდნობილი. არსებობს მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიული სახელმწიფო; კულტურული თვითმართველობა და სხვა ასეთი ფანტაზიები უქმი ოცნების ნაყოფია, ეროვნული მუზეუმებისა, თეატრებისა და წიგნთსაცავების მოსაწყობად და სამართავად განსაკუთრებული კონსტიტუციები როდია საჭირო: ასეთ უფლებას დაბეჩავებულ ერებსაც კი აძლევენ.

მაგრამ ჩვენში მოიპოვება პუბლიცისტები, რომელნიც [illegible] საბუთებით ამტკიცებენ, რომ ქართველ ხალხს არ [illegible] მოფარგლული ეროვნული ტერიტორია. მესამე დასის ზოგიერთი მეთაური იმ აზრისა, რომ ჩვენი ისტორიული მიწა-წყ-ლი არაჩვეულებრივად აჭრელებულია, რომ ჩვენი სამშობლოს ერთი მესამედი უცხოელებით არის დასახლებული. გულაჩუყებულ ჰუმანისტებსა და ინტერნაციონალისტებს ეშინიათ რომ უმცირესობა უმრავლესობის მიერ არ დაიჩაგროს მომავალ თვითმმართველ საქართველოში ამიტომ გადაჭრით უარჰყოფენ საქართველოს პოლიტიკური უფლებების დაფუძნებას ტერიტორიის ნიადაგზე.

ახირებული რეზონია! იმის შიშით რომ შემოხიზნული უცხოელები ოდესმე არ დაიჩაგრონ, დღეს დაჩაგრულ თანამემამულეებზე ვერ გვიფიქრია. ვინ გვავალებს მთელი ქვეყნის ბედნიერებისთვის ზრუნვას, როცა თვით ჩვენი სამშობლო ბედშავს მდგომარეობაში იმყოფება?

უცილობელია, რომ ჩვენი მიწაწყალი ბოლო დროს აჭარელთა და ჩვენს სახლკარში ისეთი ელემენტები შემოიჭრა, რომელთა სიახლოვე სრულიადაც არ არის სასურველი. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო აღთქმულ ქვეყნად გადაქცეულიყოს ქართველობისათვის. ცოტა არ იყოს ნაადრევია იერემიას გოდება. განა ბერძნებისა, ბულგარელებისა, სერბებისა, ალბანელებისა და სხვა ჩაგრული ერების ტერიტორია აჭრელებული არ იყო სანამ ოსმალეთი ჰფლობდა? მაგრამ ბალკანეთის ქრისტიანულმა ერებმა პოლიტიკური დამოკიდებულება მოიპოვეს.

## სახელმწიფო სათათბირო

(პ. დ. ს.)

**2 დეკემბერს სხდომა**

სხდომის დარბაზი გაჭედილია. დეპუტატთა ყველა ადგილები დაკავებულია. მინისტრთა ლოჟაში ტრეპოვი და საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი პოკროვსკი სჩანან.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრს სურს თავისი განცხადება წარმოადგინოს.

**საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვა.** მე, როგორც ახალ დანიშნულს, რასაკვირველია, შეძლება არა მაქვს სავსებით დაგისურათოთ დღევანდელი ვითარება, მაგრამ ჩემს თავს მოვალედა ვთვლი, ხელმწიფე იმპერატორის ნებართვით, გამოგიცხადოთ რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება ჩვენთა მოწინააღმდეგეთა მიერ გადადგმულ ნაბიჯთან. დეპეშათა სააგენტოს მიერ გიდმოცემული ცნობა მოკავშირეთათვის მოულოდნელი არ იყო.

გერმანეთს არაერთხელ უხსენებია ზავი და დიდი ხანია ნიადაგსაც ამზადებდა მის ჩამოსაგდებად, მაგრამ მოკავშირენი ყოველთვის მტკიცე უარით ხვდებოდნენ მათს წინადადებებს.

როდესაც გერმანეთი დარწმუნდა, რომ მოკავშირეთა შორის უთანხმოების ჩამოგდება შეუძლებელი იყო, ოფიციალი განცხადებით გამოვიდა.

არსებითად, გერმანეთის წინადადება არ გვაძლევს საშვალებას წარმოვიდგინოთ ხასიათი იმ ზავისა, რომლის შესახებაც ის ლაპარაკობს. იგი იმეორებს დაძველებულ ლეგენდებს იმის შესახებ, რომ ომი ცენტრალ სახელმწიფოებს თავზედ მოახვიეს და აღნიშნავს ავსტრო-გერმანეთის ჯარების ძლევა-მოსილებას. წინადადებას გვაძლევს შერიგების შესახებ მოლაპარაკება დავიწყოთ და გვპირდება: ჩვენნი წინადადებანი ერთა თავისუფალ ცხოვრებისა და მტკიცე ზავის პირობებს შეეხებაო. აი მთელი შინაარსი მათის წინადადების, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ გვემუქრებიან, გამარჯვებამდე ვიბრძოლებთო და პასუხისგებასაც ჩვენ გვახვევენ თავზე. რა მდგომარეობაში გვაძლევს გერმანეთი ასეთ წინადადებას? მტრის ჯარებმა დაარბიეს ბელგეთი, სერბეთი, ნაწილი საფრანგეთისა, რუსეთისა და რუმინეთისა და დღესაც დაკავებული აქვთ დარბეული ნაწილები. ავსტრო-გერმანეთის მთავრობამ ამ რამდენისამე ხნის წინად გამოაცხადა პოლონეთის ნაწილის და-

მოუკიდებულობა და ამ გზით სურთ ხელი დაადვან მთელ პოლონეთის ერს. შერიგების დაწყება ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ გერმანეთისათვის არის ხელსაყრელი. მათ სურთ დრო იხელთონ და ზავი ჩამოაგდონ, სანამ ხელთა აქვთ დაპყრობილი მხარეები და სანამ მათი შინაური სისუსტე გამოჩნდებოდეს. მაგრამ ეს არ იქნება. მთელი რუსეთი კვლავ მძლავრად გაერთსულოვანდება, რომ თავის მიწიდან უკანასკნელი განდევნოს ვიდრე ეს არ მოხდება, არც ზავზედ შეიძლება ლაპარაკი. ასე აქვთ გადაწყვეტილი ჩვენს მოკავშირეთაც. ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი უდრეკი გადაწყვეტილებით ვართ გამსჭვალული, რომ ომი სრულის გამარჯვებით დავასრულოთ.

მინისტრის უკანასკნელმა სიტყვებმა დაუსრულებელი ტაშის ცემა გამოიწვია დეპუტატთა ყველა სკამებზედ.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა: სურს თუ არა სათათბიროს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების დაუყონებლივი განხილვა.

სათათბირომ ერთხმად დაადგინა, რომ განცხადება ეხლავე განხილულ იქმნეს.

შემდეგ სათათბიროს სიტყვით მიმართავს **როძიანკო**. ორატორს არა სჯერა გერმანეთის გულწრფელობა, და წამოყენებული ზავის პირობები ადამიანთა და ხალხთა უფლებათა დაცინვად და ურცხვობად მიაჩნია. მოუწოდებს სათათბიროს, არაფერი იწამოს გერმანეთის საზავო განცხადებისა და მთელის თავის ძალღონით შეეცადოს, რომ ხალხსა და საზოგადოებაში ბრძოლის სული განამტკიცოს. როძიანკოს სიტყვით, რუსეთი მტერს მანამ არ უნდა მოეშვას, სანამ გამარჯვება და გამარჯვებასთან ერთად დარდანელის სრუტე და სტამბოლი ჩვენ არ დაგვრჩებაო.

**შიდლოვსკი** პირველი აცხადებს: ჯგუფები და ფრაქციები დამოუკიდებელთა, რუს ნაციონალისტთა, პროგრესიულ ნაციონალისტთა, ცენტრისა, ოქტომბრისტთა, პროგრესისტთა, პოლონელ კოლოსი, მუსულმანთა და სხვათ მომანდვეს მოგახსენოთ: მოვისმინეთ-რა საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება, სათათბირო ერთხმად უარს ჰყოფს გერმანეთთან და მის მოკავშირეებთან ზავის ჩამოსაგდებად დღევანდელ პირობებში რაიმე მოლაპარაკება გამართოს (ყოველმხრიდან ტაში). ნაადრევი ზავი დროებით შერიგება იქნება, ეს კვლავ გამოიწვევს სისხლის მღრელ ომს (ხმები: მართალია), მკვიდრი ზავი შეიძლება მაშინ ჩამოვარდეს, როცა გერმანეთს და მის მოკავშირეთ სამუდამოთ დავამარცხებთ და გერმანეთს იმ მოთხოვნილებაზე, რომლითაც იგი მიზეზი შეიქმნა მსოფლიო ომისა. (ტაში)

**ლევაშოვი** აცხადებს, რომ მემარჯვენეთა ფრაქცია უერთდება შიდლოვსკის განცხადებას.

**ტულიაკოვი** ს.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ფრაქციის ზოგიერთა წევრის სხდომებიდან დათხოვნის გამო დემოკრატია საშუალებას მოკლებულია თავისი აზრი გამოსთქვას ზავის შესახებო და გულმოსული დარბაზსა სტოვებს.

**იანუშკევიჩი.** აცხადებს შრომის ჯგუფის სახელით, რომ შრომის ჯგუფმა თავის დროზედ ითხოვა, რომ ნება მისცემოდა ზავისპირობებზედ ლაპარაკისა, მაგრამ თხოვნამ უნაყოფოდ ჩაიარაო დარბაზს გულმოსული სტოვებს.

ყველა ერთხმად და ტაშის ცემით ღებულობს შიდლოვსკისგან წამოყენებულ ფორმულას.

# ახალი ამბავი.

ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი, რომელიც თბილისში იყო, გუშინ ქუთაისში დაბრუნდა და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

✦ კვირას ქუთ. ქალაქის თეატრში ადგ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება, ნიჭიერი მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის საბენეფისოთ ალ. დიუმას 5 მოქ. დრამა ,,მარგარიტა გოტიე''. თარგმანი ვ. გუნიასი და ალ. იმედაშვილისა.

✦ კვირას დილის თერთმეტ საათზე, შავი ქვის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ადგ. განყოფილების წევრთა კრება საზოგადოების სტამბის გაყიდვის საკითხის განსახილველად.

✦ „სინათლის“ საზოგადოების ქალთა კომიტეტმა მიიღო ქალბატონ მარიამ ვასილის ას. კაჭარავასაგან (სოხუმიდან) ერთი თუმანი.

✦ შაბათს 10 დეკემბერს ქართული გიმნაზიის დარბაზში მ. დუნდუას სკოლის სასარგებლოდ გაიმართება სალიტერატურო საღამო. იმედია ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება ამ საღამოს.

✦ გამოვიდა და იყიდება მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ნ. ჯორჯიკიას თხუზულება „Качество—отношеніе причинность“. ფასი 25 კაპ.

✦ 18 დეკემბერს ქუთაისში დანიშნულია გუბერნიის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც სხვათაშორის განხილულ იქნება ქუთაისში ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის განყოფილების დაარსების საკითხი.

✦ 15 ნოემბრიდან 30-დე ქუთაისში დაავათმყოფებულა—მუცელათი 15 კაცი, ხუნაგით 7, ყვავილით 5, ქუნთრუშით 12 წითელათი 1, სახადით 7.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერმა ქალაქის ქუჩებში განცხადებები გააკრა, რომელშიც ნათქვამია, რომ ის პირები, რომლებიც ჯარისკაცებს რაიმე ნივთებს გიჰყიდიან-ან თვით იყიდიან მათგან—კანონის ძალით სასტიკათ დაისჯებიან.

✦ ქუთაისის წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტმა ნება დართო, რათა სოფელ ქვათაყტაში, (ზუგდ. მაზრა) დაარსონ წვრილი კრედიტის ამხანაგობა. საწევრო პაი 50 მანეთი იქნება, ძირითადი თანხა აქვს საზოგადოებას 3000 მანეთი.

✦ ვაჭარი მკლავაძის რიგში. ადგ. ვაჭარს ივლიანე ბარქაიას გაუყიდია მარილი ნიხრზე ზევით, მყიდველს ეს უჩივლია პ. ოყრეშიძესთან, რომელიც დანიშნულია ქალაქის გამგეობის მიერ სიძვირესთან საბრძოლველათ, უკანასკნელს წინადადება მიუცია ვაჭრისათვის დაებრუნებია ის ფული რომელიც არ ერგებოდა და მაინც აიღო, მაგრამ ვაჭარს ჯოხით გალახვა მოუნდომებია ოყრეშიძის. ხსენებული ვაჭარი პასუხის გებაში მისცეს.

✦ ომში დაჭრილ დაავათმყოფებული ოფიცრები. ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და №38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ოფიცრები კაპიტანი ნიკიფორე ჯავახიშვილი, პოდპორუჩიკი სიმონ პეტრეს ძე ხურცილავა, პრაპ. ანდრია მატარაძე და ირ. ზაქარიას ძე ქინქველაძე. სამხედრო მღვდელი მიხეილ ზაქარიას ძე დევიძე, კორნეტი გიორგი კონსტანტინეს ძე შანშიაშვილი.

✦ დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომმა ა. მ. ვასილევსკიმ თბილისის სააბრეშუმო სადგურის საშვალებით მიიღო სამხრეთ რუსეთის სააბრეშუმო საქმეების გამგე ბ-ნ ბერტენსონიდან წინადადება მიაწოდონ მას ცნობები გასულ 1915—1916 წლეებში რამდენი მისხალი აბრეშუმის თესლი დაიხარჯა ქუთაისის გუბერნიაში, და რამდენი იქნება საჭირო მომავალ 1917 წლისათვის

✦ ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო საეროზო ინსტრუქტორ იონა მაჭავარიანს წინადადება მისცეს დროებით შეასრულოს რაჭა ლეჩხუმის მაზრის საერობო აგრონომის მოვალეობა, რადგან ამ მაზრის აგრონომი პონასევიჩი ქუთაისის გუბერნატორის დავალებით გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარის საჭიროებისათვის პურის ფქვილის საყიდლათ.

✦ ძმ. გოგიელოვის სავაჭრო სახლმა უკვე შეიძინა ქუთაისის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის საშვალებით რამოდენიმე ფუთი შაბიამანი. შაბიამანი შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებს, სოფლის კოოპერატივებს და მევენახეებს, ზემო ხსენებულ საზოგადოებათა წარმომადგენლებმა წინ-და წინ უნდა აიღონ საჭირო მოწმობა ქუთაისის მეღვინეობა-მევენახეობის კომიტეტისაგან, რის შემდეგაც მიიღებენ შაბიამანს.

✦ შუამდგომლობა. დ. ზუგდიდის განყოფილების ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზ. გამგეობა თხოვნით მიმართავს ქუთაისის გუბერნატორს, რათა ნება დართოს სოფელ ხიბულის მცხოვრებს თ.დ პლატონ დადიანს ხსენებულ სოფელში დაარსოს უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო.

— ხსენებულ დაბის წ. კ. საზ. გამგეობა აგრეთვე თხოვნით მიმართავს ქუთაისის გუბერნატორს რათა ნება დართოს სოფელ ზანას (ზუგ. მაზ.) მცხოვრებს, მღვ. აფანასი თოდუას ნება დართოს დაარსოს ხსენებულ სოფელში უფასო წიგნთ-საცავ საკითხველო მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის სახელობაზე.

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმეს შემდეგი პირები: 1) ნოე საყვარელიძე (სოფელ ჯგილათის მცხოვრები, შორ მაზ.) რევოლვერის უნებართვოთ ტარებისათვის—25 მან. 2) რესტორან „ანონას“ მოიჯარადრე მარკოზ აბულაძე, 12 საათის შემდეგ ვაჭრობისათვის 200 მან. მისივე განკარგულებით ორ-ორი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს გიორგი გოგინავას და ზაქარია კარტაშიას შაქრის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის.

✦ თუ რომელ ვაჭარს რამდენი ფუთი სანოვაგე აქვს ამჟამათ ქუთაისში. სიმინდი: ანტონ ხეცურიანს 100 ფუთი, ალექსანდრე ბერაძეს 200 ფ., ვარლამ ზაზუაშვილს 100 ფ., პურის ფქვილი: ქალაქის თვათმართველობას 18000 ფუთი. ბრინჯი: ბასილაძეს და კილასონიას 200 ფ. მ. გოკიელოვს 100 ფ., კართოფილი: ისიდორე მეგრელიშვილს 1000, ფუთი, ი. ბეკაიას 1000 ფ., ლ. კიკვაძეს 600 ფ., ერბო კიკვაძეს 3 ფუთი. თევზი: ისიდორე მეგრელიშვილს 200 ფუთი, მელიტონ რუსაძეს 400 ფ., მარილი: ის. მეგრელიშვილს 300 ფუთი, ბასილაძეს და კილასონიას 300 ფ., ლუკა ზვიადაძეს 300 ფ., კონ. კოზუაშვილს 200 ფ, ან. ვაჩაძეს 2000 ფ., ბარკაიას 800 ფ., პავ. კოკაიას 400 ფ., ნავთი: ამხ. „განათება“-ს 2000 ფუთი, ასანთი: ჯანელიძეს 200 ათეული, ასათიანს 200 ათეული, კალაჩიძეს 200 ათ. აკოფოვს 100 ათეული, სადიკოვს 100 ათეული.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის 2 დეკემბერს ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს: ლევან ბოკერიას, ზაქარია კოკოჩაშვილს, პავ. თუმანიშვილს, სიმონ თევდორაძეს, იაკობ ავსარქისოვს, ნიკიფორე ჯანელიძეს, ტრიფონ კიკვაძეს მიხეილ ჰავჰანიძეს ალ. პიპიანოვს კოწია დათეშიძეს, მ. სიხარულიძეს, ანტონ ესებუას, ლავრენტი ცაგარელს, გიგო ნიკოლეიშვილს, ძმ მურდოვებს, აბ. პატარიძეს და ნინა ბერიძეს.

**გუბერ. კანცელარიის ცნობები.**

სოფ. ხეთაში (ზუგდ.მაზრა) 22 ნოემბერს სამი შეიარაღებული ავაზაკები გზაში დახვედრიან გლეხ გაბრიელ აბსირიძეს, წაურთმევიათ 55 მანეთი და 73 კაპ. და მიმალულან. როგორც პოლიციელებს გამოურკვევიათ თავდასხმა ჩაუდენია თადეოზ ბარაკაიას, რომელიც უკვე დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს.

— სოფელ ხიბულაში (ზუგდ. მაზრა) 23 ნოემბერს რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები თავს დასხმიან ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს სტეფანე ჯანჯღავას, წაურთმევიათ 30 მანეთი და მიმალულან.

— სოფელ ნაცოდიკოუში (ზუგდიდის მაზრა) 27 ნოემბერს რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები გზაში დახვდენ ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს, ფარნა ანთიას და სიკვდილის მუქარით წაართვეს მას 44 მანეთი და 50 კაპ., წაართვეს აგრეთვე სხვადასხვა ნივთები 105 მანეთის და მიიმალენ.

— დაბა ზუგდიდის მაზრის უფროსი ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ სოფელ პახულის მცხოვრებ კოწია არკანიას გამძარცველი ავაზაკი სპირდონ გოგოხია დაუპატიმრებია და გადაუცია სასამართლოსათვის.

— სოფელ ხორგაში (ზუდიდის მაზრა) 27 ნოემბერს, კაჯა დოლბაიას თავს დაესხა ბუხუ გვარამია, რომელსაც პირველის მტრობა ჰქონია და რევოლვერის ტყვიით მძიმეთ დასჭრა. გვარამია მიიმალა.

# კავკასიის ქრონიკა.

**თფილისი.** სამხედრო შეღავათის მიმცემ მთავარ კომიტეტისაგან საქალაქო კომიტეტს ბრძანება მოუვიდა, რომ 1896 წელში დაბადებულებს 5 თვეზე მეტი შეღავათი არ მისცეს. თეთრბილეთიან სოფლის მასწავლებელთა შესახებ, რომელნიც 1905 წელს კიდევ ადრე იყვნენ გასაწვევნი ჯარში, მთავარ კომიტეტს დაუდგენია, რომ ამათაც ისეთივე შეღავათი მიეცესთ, როგორც მეორე ჯარის მოლაშქრეებს, თუნდაც სრულიად ჯანსაღიც აღმოჩნდენ ხელახალი გადასინჯვის დროს.

გაუბედურებული ქვრივი მატრონა კირილეს ასული, [illegible] ნინო, ლიდა, არჩილი და დავითი, სიდედრი დარია [illegible] ასული ჯიბლაძისა დები: თებროლე და მენიკი [illegible] ტალია რუხაძისა და სიძე ლევან გლახუას ძე რუხაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის სალვთო სჯულის მასწავლებლის დეკანოზ

## მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას—4 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 სათთზე საკუთარ სახლში, ჭავჭავაძის ქუჩაზე. გამოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

— **ბათუმი.** ალამრის სკოლის მასწავლებელი, სტ. ნიკოლიშვილი, ძალზე ავადმყოფი, ამდღეებში მოუთავსებიათ საქველმოქმედო საზოგადოების ჩურუქსუს საავათმყოფოში.

— **ბაქო.** ამ დღეებში დრამატიულ სექციის მიერ შალვა დადიანის რეჟისორობით წარმოდგენილი იქმნა „გადაჭრილი მუხა“ ვ. შალიკაშვილისა. ბატონ დადიანს საერთოდ საკმაო ენერგია დაეხარჯა პიესის კარგ დადგმისათვის. დარბაზი სავსე იყო ხალხით.

— **თელავი.** ვერ იქნა ვერ მოწესრიგდა კახეთის რკინის გზის მიმოსვლა. ახლა თელავიდან დილის თერთმეტ საათზე გადის, როცა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. თფილისშიაც მეტად გვიან გასვლის გამო, მგზავრები დიდ გაჭირვებას განიცდიან მერე ამისთანა დროში, როცა არც ეტლის შოვნა, არც სასტუმროსი და მგზავრებს შუაღამისას აქეთ იქით უხდებათ ხეტიალი. საჭიროა ამ გარემოებას კახეთის რკინის გზის გამგეობამ და თუ ადრე არა, 10 საათზე მაინც დანიშნოს თელავიდან გასვლის დრო.

— ქალაქის რწმუნებულთ გადაწყვიტეს შუამდგომლობა აღძრან, რომ თელავიდან კახეთის რკინის გზით აკრძალონ გატანა შეშისა, ნახშირისა, ფრინველისა, კვერცხისა და ერბოსი. ეს გამოწვეულია მით, რომ თფილისიდან საგანგებოდ მოდიან ჩარჩები და აღარაფერს უშვებენ, ყველაფერი მიაქთ და თელავში სიძვირე კი არა, აღარც არაფერი იშოვება.

— **დ ახალსენაკი.** სამეურნეო საზოგადოების გამგეობამ კომიტეტს თხოვნა გაუგზავნა, რომ სამეგრელოს მცხოვრებთ სამეურნეო იარაღებით და თესლებით დამარება აღმოუჩინონ. სამკურნალო მცენარეების მყიდველი ორგანიზაცია განყოფილებას ხსნის აქ დაფნის შესაძენად.

**სად. განჯა.** ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ქ. შ. წ. კ. საზოგადოების განჯის განყოფილების. 27 ნოემბერს დანიშნული იყო საზოგადო კრება მომხმარებელი დუქნის საინტერესო იყო, რომ არცერთი გამგეობის წევრი არ დასწრებია.

# მთავრობა და საზოგადოება.

მსოფლიო ომის უკანასკნელმა შედეგებმა და კერძოთ რუმინეთის გასრესამ და საბერძნეთის თითქმის ფაქტიურათ გამოსვლამ ოთხთა შეთანხმების წინააღმდეგ, სათანადო გავლენა იქონა და მთავრობას და საზოგადოების შუა კონფლიქტი გამოიწვია.. ასე წარმოიდგინეთ, რომ ეს ბრძოლა ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ინგლისის „რკინის სამინისტრომაც“ ვეღარ გაუძლო საზოგადოების იერიშს და ასკვიტის კაბინეთი იძულებული შეიქნა თავისი პორტფელი ლლოიდ ჯორჯისთვის „თავისი ნებით“ დაეთმო...

ეს მოვლენა დიდ რამეს ნიშნავდა... რომ მსოფლიოს ყურადღება ბუქარესტისკენ არ ყოფილიყო მიქცეული, ეს კაბინეთის გადადგომა ღირსეულ დაფასებას გამოიწვევდა, მაგრამ ეს დღეს შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან ომის ბედი სისხლით და რკინით სწყდებოდა რუმინეთში და ასკვიტ-ლლოიდ ჯორჯისთვის არავის ეცალა.

მაგრამ დღეს „დრუბლებმა“ გადაიარეს და რუმინეთის ტრაგედია უკვე დასრულდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მიუდგომელი პრესა ღირსეულათ დააფასებს ასკვიტს და გამოაშკარავებს რის გაკეთება შეეძლო მას და რა გააკეთა...

მე ამ წერილში ამ კითხვის გაშუქებას არ შევუდგები. ავღნიშნავ მხოლოდ, რომ ასკვიტი მეტის მეტი თავის ნების ადამიანი იყო და სხვის რჩევას არასოდეს ანგარიშს არ უწევდა... მაგალითათ ომის დაწყებამდე, როცა ლორდთა პალატაში კითხვა იყო დასმული ქალთა მამაკაცებთან უფლებათ გათანასწორების შესახებ მან კატეგორიული უარი განაცხადა. ჯილდოთ კი ის მიიღო, რომ იმედ დაკარგულ სუფრიჟისტ ქალებმა, პალატიდან სახლში მიმავალს გზაში დახვდნენ, გაუჩერეს ავტომობილი და ტუფლებით სცემეს.

შეიძლება ეს თქვენთვის ანეკდოტათ უფრო გამოდგეს, ვიდრე ფაქტათ, მაგრამ სრული სიმართლეა, რასაც მაშინ დეპეშათა სააგენტო რადიოტელეგრამით მსოფლიოს აუწყებდა.,.

არც ამ ომის დროს უღალატნია ასკვიტს თავისი რწმენისათვის. იგი თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევდა არამც თუ საზოგადოებას, არამედ ისეთ მოღვაწეებსაც კი, როგორიც ედუარდ გრეიდა ლლიდ ჯორჯი. მის დიქტატორობაში ინგლისი რამოდენიმე დამარცხებას მოესწრო, როგორც მაგალითად დარდანელში მესოპოტამიაში, რუმინეთში და საბერძნეთში..

მაგრამ პირდაპირ სასიხარულო იქნებოდა, რომ ამ დამარცხების მთავარ დამნაშავეთ ასკვიტი ვაღიაროთ .. დამარცხების მიზეზი სულ სხვა იყო, რასაც "როგორც ამბობენ გამოარკვევს ამისთვის სპეციალურად შემდგარი კომისია.

ამრიგად, როგორც ხედავთ, ბრძოლა მთავრობას და ხალხს შორის ინგლისში მთავრობის დროებით დამარცხებით გათავდა. რა მოყობა ამ დამარცხებას ამას მომავალი დაგვანახვებს.

სულ სხვა მოვლენას ვხედავთ რუსეთში. უკვე ათასჯერ არის აღნიშნული, რომ რუსეთის მთავრობას და დიპლომატიას გარკვეული პროგრამა არ აქვს... ხშირათ ხდება, რომ მარჯვენა ხელმა არ იცის, რასა იქმს მარცხენა ხელი... რუსეთის მთავრობის ერთს ერთ დამახასიათებელ თვისებას ისიც შეადგენს, რომ ჯიუტივით ამოიჩემებს რამეს ხოლო რისთვის თვითონ არ იცის...

აქ მინისტრები არ განაგებენ ქვეყანას, არამედ თვით სამინისტრო განაგებს მინისტრებს, ამ შემთხვევაში მართალი იყო ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც პრესის წარმომადგენლებს ეუბნებოდა: წინეთ მე ვიჯექი შინაგან საქმეთა მინისტრის სავარძელზე, დღეს კი ეს ადგილი დაკავებული აქვს პროგრესიულ ბლოკის წევრს პროტოპოპოვს, მაგრამ კეთილ ინებეთ და მითხარით კურსი სამინისტროს მოქმედების შეიცვალა რამეშითი?

შეიძლება ყოფილმა მინისტრმა ეს სიტყვები თავისი „გულის მოსაფხანათ“ გაენუზიარა პრესის წარმომადგენლებს, მაგრამ ამითი ბევრს თვალი აეხილა... თითქმის, რომ ამ ფრაზამ უფრო მეტი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, ვიდრე ამ ყოფილ მინისტრის მცირე ხნის „მინისტრობამ“.

აგრეთვე ძლიერ მართალი იყო ბ-ნი ე. ტრუბეცკოი, რომელიც სახელმწიფო საბჭოში აღიარებდა—ეჭვის შეპარვაც შეიძლება მინისტრების არსებობაშიო. ეს სრული ჭეშმარიტებაა; განა შეიძლება ადამიანმა სთქვას რომ რუსეთში მინისტრები არსებობენო... არა და არა... აქ არ არიან მინისტრები, აქ არიან მხოლოდ პოლიტიკური დამქაშები, როგორც საზოგადოთ უწოდებენ მინისტრებს სახელმწიფო სათათბიროში... აქ მინისტრს უფლება არ აქვს, მისი სურვილი შებოჭილია უბრალო ქინიანობით.

მ. სარჩელი.

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიკო ნიკოლაძის საქმე.

სენატში გაირჩა ფოთის ქალაქის თავის ნიკოლაძის საქმე, რომელიც ქრთამის აღების გამო სასამართლოში იყო მიცემული. სენატორმა ნეიდგარტმა, რომელიც ფოთის ნავთსადგურის რევიზიას ახდენდა, პორტის ამშენებელის პალაშკოვსკის წიგნებში აღმოაჩინა ჩაწერილი, რომ ვიღაც გავლენიან პირს 372,000 მანეთი გადაეცაო. პალაშკოვსკიმ სენატორს აუხსნა, რომ ის პირი ნიკოლაძეა, რომელმაც ფირმისაგან მიიღო 358 ათასი. ნიკოლაძე სამართალში მისცეს 372 მუხლის ძალით. საყურადღებოა, რომ ფოთის საბჭომ ნიკოლაძისა თხოვნა, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, უარყო და ქალაქის თავს ნდობა გამოუცხადა. თფილისის პალატამ ნიკოლაძე დამნაშავეთ სცნო და 8000 მანეთით დააჯარიმა. ნიკოლაძემ საქმე სენატში გადიტანა მაგრამ ამ გასაჩივრებას მოჰყვა პროკურორის

პროტესტი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნიკოლაძე დამნაშავეა 372 მუხლის მეორე ნაწილის ძალით, ვინაიდგან ნიკოლაძემ მიიღო საჩუქარი სანამდი გაკეთდებოდა საქმე, რომლისთვისაც ეს საჩუქარი იყო გადადებული. სენატში ნიკოლაძეს იცავდენ კარაბჩევსკი და კულიშერი. სენატმა ნიკოლაძის საჩივარი უშედეგოდ დასტოვა და პროკურორის პროტესტი შეიწყნარა: დამნაშავეთ იცნო ნიკოლაძე 372 მუხლის მეორე ნაწილის ძალით, დააჯარიმეს 20 ათასი მანეთით და ჩამოართვა ქალაქის მოურავის თანამდებობა.

## ქრისტიანთა დროის სიძველენი ტრაპიზონში.

სახალხო განათლების სამინისტროს ახლად დაპყრობილ ოსმალეთში აკადემიკოსი ფ. ი. უსპენსკი გაუგზავნია ქრისტიანთა დროის სიძველეთა აღმოსაჩენად და საჭირო ზომების მიხაღებად მათდა დასაცველად.

როგორც სწერს აკადემიკოსი უსპენსკი, მას ძრიელ გაჭირვებია დაკისრული ვალდებულების შესრულება, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთ ვერავითარი შემწეობა ვერ აღმოუჩენიათ მისთვის; თანაც იქაური ჰაერი სულ ვერ აუტანია ბ-ნ უსპენსკის. სამ თვეში სამჯერ გავხდი ავათ მალარიითაო, მოგვითხრობს აკადემიკოსი და ციებიდან თავი ვეღარ ავიღე რომ მემუშავაო.

მაინც ბევრი წვალების შემდეგ, მას ტრაპიზონში აღმოუჩენია რაოდენიმე მეჩეთი, რომელნიც წინათ ქრისტიანთა ეკლესიები ყოფილა. ტრაპიზონი ოსმალთა ხელში 1461 წელს გადასულა და დიდი ხნის განმავლობის გამო ტრაპიზონის და მის მაზრის მცხოვრებთა შორის ამ ეკლესიებზე არავითარი ცნობა არ დარჩენილა ყველას ისე უთქვამს რომ მეჩეთები ძველად მუსულმანების აშენებულიაო.

მიუხედავად ამისა, ბ-ნი უსპენსკი გვარწმუნებს, რომ მეჩეთებს ეტყობა გადაკეთებაო. სამხედრო პირთა საშვალებით მას დაუკეტავს და დაუბეჭდავს ეს მეჩეთები და ტრაპიზონის კამენდანტის განკარგულებით მეჩეთების კლიტეები შესანახავად ერთ საგანგებო მოხელისთვის გადაუციათ.

აკადემიკოსი უსპენსკი ამბობს, რომ ოსმალეთის სიძველეთა აღმოსაჩენად დაპყრობილ ქვეყნებში, საჭიროა საკუთრად მცოდნე პირთა კამისია უნდა შედგეს, რომელიც სპეციალურად დაათვალიერებს და დასძებნის საყდრებს, ძველ შენობებს, წიგნებს, ხელთნაწერებს, მხატვრობას და ნივთეულობას

იმავე დროში, აღნიშნავს ბ-ნი უსპენსკი, ერთ ოსმალოს ოჯახში აღმოჩენილა ერთი ვერცხლის ხელთათმანი, რომელიც შემდეგ წმიდა ბარნაბას წმიდა ნაწილთა შესანახავი გამოდგაო.

ბირჟ. ვედ.

## პატარა წერილები.

IX

მსოფლიო ომის დაწყებამდის, საზოგადოთ მუშა ხელს, როგორც რუსეთში აგრეთვე ჩვენშიდაც, შესაფერისი ფასი არ ჰქონდა, მამაკაცის შრომა ჰო, ასე იყო თუ ისე, კიდევ ფასდებოდა და დედაკაცის შრომა პირდაპირ საცინლად იყო აგდებული და ამ სუსტა არსების შრომითა დაჭაჭყით ისევ ის ისქელებდა ჯიბეს ვისაც უამისოდაც გასქელებული ჰქონდა.

მსოფლიო ომმა ყველას თვალები აუხილა და მუშა ხელის ფასმა ერთი ხუთად აიწია. დღეს თუ საშუალო ცოდნის მქონე ინტელიგენტის შრომა ორი—სამი მანეთი ღირს, მუშის შრომა ოთხი და ხუთი მანეთი ფასობს. მხოლოდ ორივე სქესის შრომას, ამ ომიანობის დრომაც, შედარებითი პროპორციონალური გასავალი არ აქვს, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს შრომის სიმძიმე თითქმის მთლად დედაკაცს ხვდა წილად, მისი შრომა მამაკაცთან შედარებით რიგიანად მაინც არ ფასდება. მართალია, რასაკვირველია, ფიზიკურად მამაკაცი უფრო ღონიერია დედაკაცზე და იმას, შრომის ფასი, ვითამც მეტი ერგება, მაგრამ ნუ დავვიწყდება ისიც რომ მუშაობის შესრულებაში, დედაკაცი უფრო ერთგულებასა იჩენს და სამუშევარსაც უფრო ლამაზად აკეთებს ქარხანა-ზავოდებში მომუშავე ქალებს რომ თავი დავანებოთ, სადაც დედაკაცები სამაგალითო მომუშავენი არიან, ამ ომმა ხომ ნათლად დაგვანახვა თუ რასი გაკეთება შეუძლია ქალს ველ-მინდორშიდაც, თუ ქალები არა, მთელს რუსეთში, დღეს მაინც, აბა ვინ ხნავს, სთესავს მკის და ლეწავს? ჩვენმა ქალებმაც, რომლებსაც არასოდეს არ უმუშავნიათ ყანა-მინდორში, ხომ ესევე უნარი და ბეჯითობა დაგვიმტკიცეს მამაკაცებს? მაშ რა უფლება გვაქვს ჩვენ, ქალების შრომას, რა დარგშიდაც უნდა იყოს ეს, როდესაც მათი შრომა, მამაკაცების სიმრავლის გამო, უფრო ნაკლებად გვჭირდება, შესაფერისი პატივი არ ვსცეთ და ღირსეულად არ დავაფასოთ ის? არა. დედაკაცის შრომის აბუჩად აგდების ხანამ გაიარა, დრო მოჰქმა და მათ შრომას ისევ ღირსეულად უნდა შევხედოთ, როგორც მამაკაცებისას, თუ გვინდა რომ განათლებულმა ერებმა ველურებათ არ ჩაგვთვალონ.

მ ბუაჩიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ხობი.** (ზუგდიდის მაზრა) ნაჯიხევის, ხორგის, სადიდჯეოს, აბასთუმანისა და ხეთის საზოგადოებათ ნება დართეს ამიერჩიონ კომისია ხობში სამეურნეო სკოლის დასაარსებლად.

— **სოფ. მეჯვრისხევი.** (გორის მაზ.) კარგი ხანია რაც ამ სოფელში „რუდასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს. სოფელი მას არაფერს აკლებს, მხოლოდ იგი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ამ სკოლაში რუსულ ენას პირველ განყოფილებაში ოქტომბრიდანვე იწყებენ, რასაც კვირაში თორმეტი გაკვეთილი აქვს. სამშობლო ენას კი მხოლოდ ექვსი. ასევეა მეორე და მესამე განყოფილებაშიაც. სამშობლო ქვეყნის ისტორიას და გეოგრაფიის შესახებ ლაპარაკიც მეტია; სამაგიეროდ უცხო ქვეყნის ისტორია-გეოგრაფიას ენერგიულად ასწავლიან. დასვენების დროს მოწაფეებს სამშობლო ენაზე ლაპარაკი სასტიკად აღკრძალული აქვთ. შვიდი წლის ბავშს რომ მესაღმო „ზრასტე“ მოგაძახებს, დამშვიდობების დროს კი „დასვიდანიას“. ამ სკოლაში ბრძენი მასწავლებელი იყო და ქართულ ენას ასე შევიწროებული არ იყო. რა ასე ძლიერ იდევნება სამშობლო ენა ეს მის შემდეგ, რაც მასწავლებლად ივანე მთიულიშვილი დაინიშნა. ერთი სიტყვით „საქართველოს“ კორესპონდენტი დაწვრილებით აღნიშნავს ამ ვაჟბატონის ვერაგობას სამშობლო ენის წინააღმდეგ

— **სოფ. მცხეთა.** დედათა მონასტერთან არსებულ სკოლაში 1915 წელს მუშაობდა ექვსი სათვეიქრო მანქანა და 18 მოსწავლე ქალი იყო. სწავლა დაამთავრა ექვსმა ქალმა ხელოსნის წოდების მიღებით. სწავლა დამთავრებულთაგან ორმა—გუსტიაშვილმა და იმერლიშვილმა თავიანთი სახელოსნო გახსნეს სოფელში.

— **სოფ. ქარელი.** აქ სათვეიქრო სკოლაში 15 ქალი სწავლობდა და მუშაობდა ხუთი სათვეიქრო და ორი ხალიჩების საქსოვი მანქანა. სწავლა ჯერ არავის დაუმთავრებია, რადგან სკოლა მხოლოდ ორი წელიწადია არსებობს. სკოლაში დამზადებული საქონელი გაიყიდა 286 მან და 79 კაპ.

— იმავე ქარელში არსებობს სასწავლოსახელოსნო სახელოსნო კალათებისა და ამგვარივე სხვა ნივთების საკეთებლად. ომიანობის დროს ამ სკოლას ხელი შეუშალა, მაგრამ მაინც შარშან 15 დღე უმუშავნია და 176 მანეთის საქონელი დაუმზადებია, სახელოსნოში 10 სამუშაო დაზგა იდგა და 13 ვაჟი სწავლობდა.

**სოფ. აცანა.** დაარსდა თუ არა აქ კოოპერატიული დუქანი, მაშინვე წინადუდგენ მას ზოგიერთი ჩარჩ-ვაჭრები საქმე იმ ზომამდი მიიყვანეს დღესაც სატუსაღოშია ეს საზოგადოების საქმე საჭიროა ახლავე ყურადღება მიექცეს, თორემ კოოპერატიული დუქანი თავის დანიშნულებას აცდება.

**სოფ. ხული.** (აჭარა) აქ არ მოიპოვება არცერთი კულტურული დაწესებულება. სამკითხველოს სახელზე გაზეთები მოდის, მაგრამ სამკითხველო კი არავის დაუარსებია. რა ძნელი საქმეა, რომ ერთი ოთახი აუჩინონ და მოსულ გაზეთები სამკითხველოდ საზოგადოებას მიაწოდონ.

## რუსეთი.

32 დეპუტატმა, რომელთაც მემარჯვენე ფრაქციას გამოეყო, შეადგინეს ცალკე ჯგუფი და თავმჯდომარედ თავადი გოლიცინი ამოირჩიეს ეს ჯგუფი დამოუკიდებელ მემარჯვენეთა სახელს ირქმევს.

— დიპლომატიურ წრეებში დანამდვილებით ფიქრობენ, რომ გერმანიის მიერ გადადგმული ნაბიჯი მის დიდ სისუსტეს მოასწავებსო.

— ფინანსთა სამინისტროში მოკლე ხანში განიხილავენ ახალი წესდების პროექტს საზღვაო ბანკის დაწესების შესახებ

— სახ. სათ. წევრს როდიჩევს უთქვამს „უტრო როსიის“ კორესპონდენტისათვის როდესაც ის ომის რუქას ათვალიერებდა, რომ როდესაც ფრონტის ხაზი ისე შეიწევა, როგორც დღეს გამოწეულიაო, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ზავზე ლაპარაკი აღვძრათო.

## უცხოეთი.

ფრანგული გაზეთები გვატყობინებენ, რომ წყალქვეშა ნავებით ომი განახლდაო. ამ ათი დღის განმავლობაში 79 ორთქლმავალია დაღუპული 114852 ტონის. ამათში 40 ორთქლმავალი ეკუთვნის შეთანხმების სახელმწიფოთ და 39 ნეიტრალურ მხარეთ.

— ინგლისიდან იუწყებიან რომ იქ კაბინეთის გამოცვლა გამოიწვევს დიპლომატიურ წარმომადგენელთა ცვლილებისა. რათა ლოიდ-ჯორჯის და ბალფურის პოლიტიკა უფრო ნათლად გამოჩდესო.

— მეფე კონსტანტინემ ათინაში სადილი გამართა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ რუსეთის და ინგლისის ელჩები. ამან მცხოვრებზე კარგი შთაბეჭდილება იქონია და საბერძნეთი ცოტა არ იყოს დამშვიდდა.

— ვაშინგტონიდან იუწყებიან რომ ვილსონს სურს პოლკოვნიკი იუზა ევროპაში გაგზავნოს გერმანიის წინადადების შესახებ სხვა და სხვა აზრების გასაცნობათ.

— ინგლისის სამხედრო საბჭოს ყოველ დღე სხდომები ჰქონია გამართული სამხედრო საქმეების შესახებ. მომენტს კრიტიკულათ სთვლიან.

— უნგრეთიდან ცნობა მოვიდა, რომ როგორც ჩანს გრაფ ტისას მიერ უნგრეთის პალატაში წარმოთქმულ სიტყვიდან ზავის ჩამოგდების ინიციატივა უნგრეთს უნდა ეკუთვნოდესო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც ნახვით და თანაგრძნობით გაამხნევეს ჩემი ავადმყოფობის დროს.

ალექსანდრე საყვარელიძე.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

## გარეშე ცნობა

**ძველი ათონის ქართველ მამათა წარმომადგენლისაგან.**

მიუხედავათ ჩვენი უკიდურესი გაჭირვებისა, ჩვენ სამათხოვროდ არასოდეს არ ავდგვავართ ბ ვკმაყოფილდებოდით იმ მცირე წვლილით, რასაც გვაწვდიდა მორწმუნე ქართველობა, შეწირულებისა, ან საწირავ სალოცავის სახით ცოცხალთა სამშვიდობოთ და მიცვალებულთა მოსახსენებლათ. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა მორწმუნე ქართველს, ნურავის მიაბარებენ ჩვენი ძველი ათონის სახელით წინააღმდეგ ამხილონ, და გადასცენ სათანადო მთავრობას, როგორც მატყუარა ყველა ის, ვისაც შენიშნავენ რომ ყალბათ, ჩვენი სახელით სარგებლობენ და კეთილ მორწმუნე ადამიანებს ატყუებენ.

ამას წინათ ქუთაისში იმყოფებოდა ბერის ტანთსაცმელში გამოწყობილი არაბერი, რომელიც, ატარებს სხვადასხვა ქებითი ფურცლის ქაღალდებს და ათონის სახელით ფულს აგროვებდა თავისთვის. მსგავსნი ამათნი პირთაგანნი ან ერის კაცნი, რომელთაც არ ექნებათ საბუთი ან ძმებისაგან, ან წინამძღვრებისაგან თესალონიკის გენერალ კონსულის მიერ ხელ მოწერილი და აგრეთვე ადგილობრივ ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ შემოწმებული, არიან მატყუარნი. როგორი საბუთებიც უნდა წარმოადგინონ მათ თვითნიერ ზემოხსენებულისა ყველა ყოვლად ყალბია და არ არის შესაწყნარებელი.

ამასთან ვაფრთხილებთ იმათ, ვინც ძველ ათონში ფული გაგზავნეს საწირავ სალოცავად, სამშვიდობოთ და მიცვალებულთა მოსახსენებლათ და ათონიდან კვიტანციები აქვთ მიღებული, ნუ მისცემენ ასეთ კვიტანციებს ნურავის, რადგან ზოგიერთი მატყუარა პირები სარგებლობენ ამით, საბუთად იყენებენ მათ და ატყუებენ ხალხს, როგორც ათონის რწმუნებულნი ასეთი საბუთებით ისინი არწმუნებენ მორწმუნე პირებს: აი, გავაგზავნეთ ფული, კვიტანციები მივიღეთ და უნდა გადავცეთ იმ პირებს, ვისაც ეკუთვნისო.

ჩვენ არავის უშლით მოწყალების გაცემას და ქველის მოქმედებას ხოლო ათონის სახელით ნურავის შეიწყნარებთ.

იმ კეთილ მორწმუნე პირებს, რომელთაც ზემოხსენებული მიზნით სურთ ძველ ათონში ფულის გაგზავნა, შეუძლიანთ წარმოადგინონ მოწამეთის მონასტერში, სადაც მივიღებ და განკარგულებას მივცემ ვითარ ჯერარს. ამისათვის საჭიროა მაცნობონ იმათი სახელები, და გვარები, თუ ვისთვის და რა მიზნით იგზავნება. და აგრეთვე ვინ გზავნის, რომ კვიტანცია მათ სახელზე მოვიდეს. შემდეგ მე შევადგენ სიას, თუ ვინ ვისთვის გზავნის ზემოხსენებულ ჩამოწერილობით, წესდებით და ბოლოს მე ხელს მოვაწერ, რომ მოხსენებული ფულები სრულათ მაქვს მიღებული. ამასთან წერილსაც მივიწერები, რომ იქმნეს შესრულებული, ვითარცა განწესებულ არს სავანესა შინა და კვიტანციებიც გამოიგზავნოს ათონიდან თავის დროზე. აგრეთვე საჭიროა ვიცოდე ფულის შემომტანთ მისამართი, რომ ათონიდან მიღებული საბუთები გადავსცე.

შემოტანილი ფულები ინახება ათონის ძმათათვის სადაც ჯერ არს. როდესაც შეიკრიბება ესე ვითარი ფულების რაოდენობა, გარდაეცემა ადესის წმ. მოწ. პანტელეიმონის რუსთა მონასტრის წარმომადგენელს, რომლისაგანაც მივიღებ მე კვიტანციას. მას წერილს მივაწერინებ ათონში თავის წინამძღვართან რამდენი ფული მიიღო ჩემგან, რომ ამის მაგიერი გარდასცენ ქართველ მამებს. მეც მისგან მიღებულ კვიტანციას წარვუგზავნი ქართველ მამებს რომელნიც ამით მიიღებენ გადაგზავნის ხსენებულთ მონასტრიდან. ... ...ათონში, სადაც ისინი განიცდიან ნივთიერ სიდუხჭირეს და უფულოდ ვერავითარ სანოვაგეს ვერ იშოვნიან უკეთუ ზემოხსენებული საშუალებით არ დაეხმარა ქართველობა ათონის მოღვაწე მამებს მაშინ რასაც ბერძენი ბერები 50 წლის დაუცხრომელი ბრძოლით ვერაფერს გახდენ ქართველ მამებთან დღეს შეასრულებენ და ჩაიგდებენ ხელში ჩვენს მამათა და ძმათა ნაშრომ ნაღვაწს, რაიცა შეადგენს ქართველთა საკუთარ ქონებას უძრავ მოძრავ სიწმინდეს ქართველები კი დაკარგავენ ძველი ათონის ქონებასა და ფლობასაც სამუდამოთ. შემდეგ ბერძნის ბერები არასოდეს აღარ შეუშვებენ ქართველებს ათონის მთაზე.

შემთხვევისა გამო შეიძლება მე მოწამეთის მონასტერში არ ვიქმნე. სავანის საქმეთა წარმოებისა გამო მიხდება ხშირად წასვლა სოხუმში და თბილისში ასეთ შემთხვევაში ჩემს მაგიერათ მიიღებენ მოწამეთის მამა მღვდელ მონაზონი და ხაზინადარი დავით გოგოლაშვილი და მ. მღ. მონაზონი ილარიონ ბლიაძე და ქუთაისში კიდევ მიიღებს ჩემდა გადმოსაცემათ ერმალოზ ხახუაშვილი. ხსენებული პირები არიან ჩვენი სავანის ერთგულნი და სანდო პირები. ისინი მე გადმომცემენ და შევასრულებთ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ძველი ათონის ქართველ მამათა წარმომადგენელი.

მღვდელ მონაზონი სამსონი.



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 „ |

—ᲡᲐᲚᲘ ᲙᲣᲭᲘ—

ᲣᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ ექ. ვეზისა

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წვართა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორრისა, იწვევს სისხლის მოწამლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზბობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზბობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი ᲣᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაკვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უღებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს შვალს, ნაწლევების კატარს, მრგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზბობისაგან. ᲣᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ ᲣᲔᲚᲐᲒᲐᲠᲡ ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი ᲣᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში ა. პ. ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

უელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)



ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.